შპს საქანელა დეველოპმენტ

ს/ნ: 404718873

ქ. თბილისი 25 ივნისი, 2025 წელი

მინდობილობა

წინამდებარე მინდობილობით, **შპს „საქანელა დეველოპმენტის“** (ს/კ: 404718873, შემდგომში - „კომპანია“) დირექტორი, გიორგი ჭიჭინაძე (პ/ნ: 01017028350) უფლებამოსილებას ანიჭებს ფ/პ **სოსო ბერიძეს, პირადი ნომრით - 01024053313,** მასზედ, რომ მან წარადგინოს კომპანია მესამე პირებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან (რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ „არქიტექტურის სამსახურს“, სსიპ „ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“) ურთიერთობაში, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მდებარე, 01.15.04.003.048, 01.15.04.003.013, და 01.15.04.003.008 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე** საგზაო მოძრაობის სქემების/პროექტის შეთანხმების, მშენებლობის ნებართვების/თანხმობების მოპოვების მიზნით, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მითითებულ მიწის ნაკვეთებზე ზემოაღნიშნული ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ნომენკლატურებით განსაზღვრული ნებისმიერი ღონისძიების განხორციელების უფლებამოსილებას.

მინდობილი პირი უფლებამოსილია, ადმინისტრაციულ ორგანოებში დაიწყოს წარმოება, წარადგინოს, ხელი მოაწეროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, განახორციელოს ყველა საჭირო, მათ შორის, იურიდიული მნიშვნელობის ქმედებები, რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევასთან.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლების გარეშე და მოქმედებს 2025 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით.

მინდობილობის გაცემის თარიღი: 25/06/2025

დირექტორი,

გიორგი ჭიჭინაძე